



ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა

და არსებული საკანონმდებლო ბარიერები

თათია ვინელაძე
მარტი, 2018

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველომ ცვლილებები განახორციელა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, ქალთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. როგორც არაერთმა ადგილობრივმა თუ საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა გამოავლინა, ქალთა წარმომადგენლობა უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში საგანგაშოდ დაბალია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე წარდგენილი კანდიდატებიდან 37% იყო ქალი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე წარდგენილ ქალთა რაოდენობა 17.69%-ს შეადგენდა. არჩევნების შედეგად, 150 მანდატიდან ქალებმა მხოლოდ 24 მოიპოვეს. საქართველოს პარლამენტის მსგავსად, გენდერული დისბალანსია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში. 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საქართველოს ყველა თვითმმართველ ერთეულში არჩეულ ქალთა რაოდენობამ 13.5% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ უმნიშვნელოდაა გაზრდილი 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ. 64 პირდაპირი წესით არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, მათ შორის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) კონვენციიდან. კონვენციის ფარგლებში არსებული კომიტეტის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საქართველომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას გენდერული თანასწორობის განსამტკიცებლად, მათ შორის მიიღოს სავალდებულო ზომები ქალთა ჩართულობის გაზრდისთვის. ქალების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ვალდებულება გამომდინარეობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების 2017-2020 წლის დღის წესრიგიდანაც.¹ მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერ კიდევ არ განხორციელებულა სისტემური ცვლილებები, რომელიც გააუმჯობესებს ქალთა წარმომადგენლობას და წაახალისებს მათ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას.

წინამდებარე კვლევაში მიმოხილულია ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას. ასევე გაანალიზებულია 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გენდერული შემადგენლობა.

1 იხ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი 2017-2020: <http://infocenter.gov.ge/1568-asocirebis-dghis-tsesrigi-2017-2020-tslebishvis.html>

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალებმა ბრძოლა საარჩევნო უფლებისთვის მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან დაიწყეს. ამ პერიოდს მოიხსენიებენ როგორც ფემინიზმის „პირველ ტალღას“. ის ძირითადად ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი იურიდიული და პოლიტიკური უფლებების მიღების მოთხოვნით ხასიათდება. ფემინიზმის „პირველი ტალღა“ დასრულდა ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭებით, რაც პირველად 1893 წელს ახალ ზელანდიაში შემოიღეს.²

1918 წელს ქალთა საარჩევნო უფლება კანონმდებლობით რამდენიმე ქვეყანამ განსაზღვრა. ეს ქვეყნებია: ავსტრია, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ესტონეთი, კანადა, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, უნგრეთი, ყირგიზეთი. განვითარებული ქვეყნების ნაწილში შედარებით გვიან მიანიჭეს ქალებს საარჩევნო უფლებები, მაგალითად, საფრანგეთში 1944 წელს, იტალიაში 1945 წელს, შვეიცარიაში 1971 წელს, ესპანეთში 1931 წელს და ასე შემდეგ.

1918-1921 წლების საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც ქალებს როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლება მიანიჭა. 1919 წლის დამფუძნებელთა კრების არჩევნებზე კანდიდატად 20-მდე ქალი დარეგისტრირდა. არჩევნების შედეგების შემდეგ, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 5 ქალი დეპუტატი იყო წარმოდგენილი.³ შედარებისთვის, ბრიტანეთის პარლამენტში 1918 წელს მხოლოდ ერთი ქალი დეპუტატი იქნა არჩეული.⁴

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით განისაზღვრა კანონის წინაშე თანასწორობის ძირითადი პრინციპი. კონსტიტუციის 39-ე მუხლი ორივე სქესის მოქალაქეს თანასწორუფლებიან სუბიექტად განიხილავდა სამოქალაქო, ეკონომიკური და საოჯახო უფლებებით სარგებლობისას.⁵

პირველად დამფუძნებელთა კრების არჩევნების დებულებით (1918) და შემდეგ კონსტიტუციით (1921) მოწესრიგდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნის წესი. ასევე დარეგულირდა არჩევნების ძირითადი პრინციპები. დამფუძნებელთა კრება თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი და ფარული წესით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატებისგან შედგებოდა.⁶

ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე, 1918 წელს დამფუძნებელთა საბჭოს დებულებით, კაცებს და ქალებს 20 წლის ასაკიდან ერთნაირად მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მსგავსი ჩანაწერი ამერიკის კონსტიტუციაში 1920 წელს შევიდა ძალაში. აშშ-ში არსებული 48 შტატიდან ამ ცვლილებას მხოლოდ 36 შტატმა დაუჭირა მხარი. გერმანიაში და ავსტრიაში 1928 წლიდან მიიღეს ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმავე ასაკიდან, რა ასაკიდანაც მამაკაცებს ჰქონდათ.⁷

2 ე. ჰეივუსი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, გვ. 278

3 იხ. ე. დარბაიძე, ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 12

4 იხ. UK Election Statistics: 1919-2012 Research Paper 12/43 7 August 2012

5 საქართველოს კონსტიტუცია - მიღებულია საქართველოს დამფუძნებელთა კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს

6 დებულება „დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა“ - მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს

7 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია

საერთაშორისო ინსტრუმენტები

1979 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW). იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. კონვენცია არა მხოლოდ განამტკიცებს ქალთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე ქმნის ამ უფლებების დაცვისთვის საზედამხედველო მექანიზმს.

აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა, რითაც აიღო ვალდებულება, ყველა ზომა მიეღო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, მათ შორის, ქალებისთვის მამაკაცების თანასწორად არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების, სახელმწიფო ფუნქციების ნებისმიერ დონეზე შესრულებისა და სხვადასხვა გაერთიანებებში დასაქმების უფლების მოპოვების შესახებ.⁸

1995 წელს საქართველო გახდა პეკინის სამოქალაქო პლატფორმის ხელმომწერი. პლატფორმის მე-7 მიმართულება მიზნად ისახავს გენდერული დისბალანსის აღმოფხვრას და სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ქალთა თანაბარი მონაწილეობა ძალაუფლებრივ სტრუქტურებსა და გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე. აღნიშნული აქტი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს ეროვნულ დონეზე ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, რომლებიც გაზრდის ქალთა წარმომადგენლობას პოლიტიკაში.⁹

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამსტერდამის ხელშეკრულებამ, რომელსაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 1997 წლის 2 ოქტომბერს ხელი მოაწერეს. ხელშეკრულებით ევროკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა გენდერული თანასწორუფლებიანობის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის და უთანასწორო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად სისტემური პოლიტიკის გატარებას.¹⁰

კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა გამომდინარეობს არაერთი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედებს. ქალთა და მამაკაცთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გათვალისწინებულია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948), საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების (1966), ასევე სოციალური და კულტურული უფლებების (1966) შესახებ.

8 იხ. ინფორმაცია: <http://old.ucss.ge/publication/018%20Kalta%20Uflebebis%20Istoriuli%20Aspeqtebi.pdf>

9 იხ. ინფორმაცია: <http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf>

10 იხ. ინფორმაცია: http://www.europarl.europa.eu/workingpapers/femm/pdf/104_de.pdf

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას შექმნას ადამიანების დაცვისთვის თანაბარი სამართლებრივი გარანტიები. თანასწორობის იდეა ამა თუ იმ სფეროში თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას მოიცავს.¹¹ მე-14 მუხლი ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც ხდება თანასწორობის პრინციპის განმტკიცება, კერძოდ, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა და სხვა. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მე-14 მუხლს ფართოდ განმარტავს და ჩამოთვლილი ნიშნების გარდა ნებისმიერი სხვა საფუძვლით არსებულ დისკრიმინაციას კრძალავს.¹² პოლიტიკური მონაწილეობის მიზნებისთვის კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის ასევე საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი, რომელიც საარჩევნო უფლებას და მის ძირითად პრინციპებს განამტკიცებს.

არსებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები თანასწორობის ფორმალურ მოდელს განამტკიცებდა, რაც ნაკლებ გარანტიებს ქმნიდა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია ხელმომწიერ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ეროვნულ კონსტიტუციაში და კანონმდებლობაში შეიტანონ დებულებები, რომელიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს განამტკიცებს¹³, რაც გულისხმობს ფორმალური თანასწორობის მოდელიდან არსებით თანასწორობის მოდელზე გადასვლას. მსგავსი მოთხოვნა გამომდინარეობს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციიდანაც.¹⁴ აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება, ერთი მხრივ, უზრუნველყოს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისათვის, ხოლო მეორე მხრივ - მიიღოს განსაკუთრებული ზომები არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.¹⁵

საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც განისაზღვრა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კანონის ლეგიტიმურ საჯარო მიზნად დასახელდა საზოგადოების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანასწორი უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციისთვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა და უთანასწორო მოპყრობის თავიდან აცილება.

2011 წელს, გენდერული ბალანსის დაცვისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები განახორციელა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, არჩევნებზე სუბიექტების მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის სულ მცირე 20%-ით წარმოდგენის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტები საბაზისო დაფინანსებაზე 10%-ის ოდენობით დანამატს მიიღებდნენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მხოლოდ 6 სუბიექტმა დაიცვა აღნიშნული ნორმა, რაც რეგისტრირებული პარტიების მხოლოდ 40%-ს შეადგენდა. „ქართული ოცნების“ მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემით წარდგენილ 200 კანდიდატიან სიაში 33 ქალი იყო, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 155 კანდიდატიან სიაში მხოლოდ 17.¹⁶

12 იხ. ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, გვ. 36;

13 იხ. General recommendation No. 25, on article 4, paragraph 1, of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, on temporary special measures: [http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20\(English\).pdf](http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf)

14 იხ. <https://www.un.org/press/en/2000/20001031.sc6942.doc.html>

15 იხ. ინფორმაცია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

16 იხ. ინფორმაცია: <http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/qalta-chartulobis-gazliereba.pdf>

2013 წელს მორიგი ცვლილება განხორციელდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონში და გაიზარდა დაფინანსების ოდენობა. შესაბამისად, დღეს მოქმედი ნორმის საფუძველზე, „პარტია მიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ იმ არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში), რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ი“.¹⁷

2017 წლის 21 ოქტომბერს ადგილობრივ არჩევნებზე რეგისტრირებული იყო 22 პოლიტიკური პარტია და 5 საარჩევნო ბლოკი.¹⁸ არჩევნებისთვის რეგისტრირებულ პარტიულ სიებში კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით წარმოადგინა 9 საარჩევნო სუბიექტმა. ეს სუბიექტებია:

- საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“;
- საარჩევნო ბლოკი „დimitრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“;
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- პოლიტიკური გაერთიანება „რესპუბლიკური პარტია“;
- პოლიტიკური გაერთიანება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- პოლიტიკური გაერთიანება „მემარცხენე ალიანსი“;
- პოლიტიკური გაერთიანება „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
- საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველო“;
- პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“.
- არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, პარტიის მიერ მიღებულ საბაზისო დაფინანსებაზე დანამატი მიიღო 4 საარჩევნო სუბიექტმა:
- საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“;
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- პოლიტიკური პარტია „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- პოლიტიკური პარტია „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

17 იხ. საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“

18 იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაცია: <http://cesko.ge/res/docs/Partiebibloke-bi25.09.2017new.pdf>

როგორც წინა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა გამოავლინა აღნიშნული ნორმა არაეფექტურია და არასაკმარის გარანტიებს ქმნის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი ე.წ. შერეული საარჩევნო სისტემა არ უწყობს ხელს ქალთა წარმომადგენლობას. წინამდებარე ანგარიშში მოცემული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო და თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში პროპორციული საარჩევნო სისტემით უფრო მეტი ქალია არჩეული, ვიდრე მაჟორიტარული სისტემით, რაც ქალთა რეპრეზენტაციისთვის ერთერთ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

საარჩევნო სისტემა არ არის გენდერულად ნეიტრალური. სისტემის სახეობა ხშირ შემთხვევაში არსებით გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე. ქვეყნები, სადაც პროპორციული საარჩევნო სისტემა მოქმედებს, ქალთა წარმომადგენლობის მხრივ გაცილებით უსწრებს იმ ქვეყნებს, რომელშიც მაჟორიტარული სისტემა მოქმედებს. საარჩევნო სისტემის ფორმირების დროს სწორედ, ამ საკითხის გათვალისწინებას ურჩევნ სახელმწიფოებს.¹⁹ პროპორციულ-წარმომადგენლობითი სისტემები, განსხვავებით შერეული სისტემისგან, პარტიებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ საარჩევნო სია, სადაც მეტი ქალი კანდიდატი იქნება.²⁰

საქართველოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი ორგანოები

საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭო

გენდერული თანასწორობის საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ხასიათის ორგანოს. იგი ჯერ კიდევ 2004 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არსებობდა. 2010 წლიდან საბჭო გარდაიქმნა საქართველოს პარლამენტთან არსებულ მუდმივმოქმედ ორგანოდ. საბჭოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არა მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე ზრუნვა, არამედ გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილებები განსაზღვრულია დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ამჟამად მოქმედი დებულება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ დამტკიცდა. დებულების თანახმად, საბჭო განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს გენდერულ სფეროში, შეიმუშავებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისთვის ღონისძიებებს. ასევე ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭო პერიოდულად ისმენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშს, ხოლო საჭიროებისას იღებს ინფორმაციას სამინისტროებისგან/უწყებებისგან.

19 იხ. ინფორმაცია: <http://www.un.org/womenwatch/osagi/wps/publication/WomenAndElections.pdf>

20 იხ. Bridge Project 2005 AEC, UNEAD v2, P.12/38

კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები, ასევე უზრუნველყოს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი პროექტების ექსპერტიზა გენდერული კუთხით. გენდერული თანასწორობის დარღვევებზე რეაგირების მოხდენის მიზნით როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე წარდგენილი განცხადებების ანალიზის შედეგად საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს რეკომენდაციები.²¹

გენდერული თანასწორობის საბჭოს არსებული ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილებები ვერ ქმნის ეფექტურ გარანტიებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. არსებული დებულების ანალიზიდან გამომდინარე საბჭო ფუნქციების შესრულებისას სარგებლობს ფართო დისკრეციით, მას არ აქვს დებულებაში აღნიშნული ფუნქციების შესრულების ვალდებულება.

გენდერული თანასწორობის საბჭო შედგება პარლამენტის არანაკლებ 10 წევრისგან, რომლებიც შეირჩევიან პოლიტიკური პარტიის წევრთა პროცენტული რაოდენობის პროპორციულად. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს წარმოადგენს, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, რა ზომები უნდა გატარდეს საბჭოს ქმედითობის გასაზრდელად თუ მისი წევრები არ ან ვერ ასრულებენ დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილება საკმაოდ შეზღუდულია. საბჭოში წარდგენილ განცხადებებზე რეაგირების მოხდენის მიზნით საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს სახელწმიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. სხვა სამართლებრივი რეაგირების ზომას გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არ ითვალისწინებს. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის არ არის, რაც ვერ ქმნის ძლიერ ინსტიტუციურ მექანიზმს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული საბჭოები

დისკრიმინაციის გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი/აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებასაც წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თვითმმართველ ერთეულებში კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით იქმნება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭო იქმნება შესაბამისი საკრებულოს მიერ და კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენს, რომელიც კოორდინირებულად მუშაობს საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან. საბჭოს შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია საკრებულოს რეგლამენტით და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

21 იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება: <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komis- iebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-debuleba>

გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მე-5 ნიშნული, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც აკისრებს ვალდებულებას მიიღონ დროებითი სპეციალური ზომები, რათა ერთი მხრივ უზრუნველყონ გენდერული ბალანსის დაცვა არსებულ დაწესებულებებში, ხოლო მეორე მხრივ ხელი შეუწყონ ქალების სრულ და ეფექტიან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეროვნულ მექანიზმებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული საბჭოების არსებობა, რადგან, სწორედ მათ მიერ უნდა მოხდეს მუნიციპალური საჭიროებებიდან გამომდინარე გენდერული პოლიტიკის დაგეგმვა და აღსრულება. 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, გენდერული თანასწორობის საბჭოები ამ ეტაპზე 38 მუნიციპალიტეტის საკრებულოშია შექმნილი.²² აღნიშნულ ორგანოებს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი და საბჭოს დებულება არ აკისრებს ვალდებულებას გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მიაწოდონ საკრებულოს ან საქართველოს პარლამენტთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რაც ამცირებს მათი ანგარიშვალდებულების ხარისხს.

გარდა ამისა, ადგილობრივ დონეზე აღმასრულებელ ორგანოებში (მერია) გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლასა და საქმიანობების დაგეგმვას უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი განსაზღვრავს. თუმცა, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა მერის ვალდებულებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, ასევე ადგილობრივ დონეზე კვლავ გამოწვევას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების არსებობა. აღნიშნული ფუნქციების შესრულება სხვა მოხელეებს აქვთ შეთავსებული.

სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს გენდერული თანასწორობის დაცვას საქართველოში. ამ მიზნით, იგი უფლებამოსილია შეისწავლოს სახელმწიფო/ადგილობრივი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობა და გაატაროს ღონისძიებები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.²³

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-141 მუხლი საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს სახალხო დამცველის უფლებამოსილებებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. დისკრიმინაციის ფაქტების ანალიზის საფუძველზე სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოსცეს რეკომენდაციები, ასევე ზოგადი წინადადებით მიმართოს შესაბამის დაწესებულებებს, რათა უზრუნველყონ არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრა. ამავე კანონის 24-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს უფლება აქვთ რეკომენდაციების განხილვის შემდეგ წერილობით აცნობონ სახალხო დამცველს მათი შედეგები. თუ სახელმწიფო ორგანომ არ შეასრულა რეკომენდაცია სახალხო დამცველი, როგორც დაინტერესებული პირი, უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება.


22 იხ. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები: http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/gender-equality-in-georgia.html

23 იხ. საქართველოს კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“ : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034>

ქალთა წარმომადგენლობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში

ქალთა რაოდენობით პარლამენტში, საქართველო 120-ე ადგილს იკავებს 193 ქვეყანას შორის.²⁴ გლობალური გენდერული ინდექსის მიხედვით კი 90-ე ადგილზე დგას 144 ქვეყანას შორის ქალთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით.²⁵

2004 წლიდან დღემდე საქართველოს პარლამენტის გენდერული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე წარდგენილი კანდიდატებიდან 37% იყო ქალი, ხოლო 63% კაცი. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, კი, წარდგენილ ქალთა რაოდენობა მხოლოდ 17.69% შეადგენდა. კიდევ უფრო დაბალი იყო საინიციატივო ჯგუფების მიერ საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილი ქალი კანდიდატების პროცენტული მაჩვენებელი (15,09%).²⁶

არჩევნების შედეგად საპარლამენტო მანდატი მოიპოვა 24-მა ქალმა, რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის მხოლოდ 16%-ია, კერძოდ, პროპორციული მანდატების 23.38%-ი ერგოთ ქალებს, ხოლო მაჟორიტარული მანდატების მხოლოდ 4.35%.²⁷

24 იხ. ინფორმაცია: <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

25 იხ. ინფორმაცია: <http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/economies/#economy=GEO;>

26 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების გენდერული სტატისტიკა, 2017 წელი: <http://cesko.ge/statistic/>

27 იქვე

2017 წლის 21 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოქალაქეებმა პირდაპირი წესით აირჩიეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ **3,440,123** შეადგინა, აქედან ქალი ამომრჩევლების რაოდენობა **7.52 %-ით** მეტი იყო კაც ამომრჩეველთა რაოდენობაზე, კერძოდ, რეგისტრირებული ამომრჩევლებიდან **1,849,359** ქალი (**53.76%**), ხოლო **1,590,764** (**46.24%**) კაცი იყო. თბილისში ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული ქალი ამომრჩევლების რაოდენობა (**57.1%**) **14.2%-ით** აღემატებოდა კაცი ამომრჩევლების რაოდენობას (**42.9%**).


ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თვითმმართველი თემის მერობის კანდიდატად დარეგისტრირდა **321** კანდიდატი, აქედან **282** კანდიდატი (**87.85%**) კაცი იყო და **39 ქალი** (**12.15%**). თვითმმართველი ქალაქების (რუსთავი, ფოთი, ქუთაისი, ბათუმი) მერობის კანდიდატებად დარეგისტრირდა **77.08%** კაცი და **22.92%** ქალი კანდიდატი. ხოლო თბილისში დარეგისტრირებული **13** მერობის კანდიდატიდან, მხოლოდ **2** იყო ქალი.

მთელი საქართველოს მასშტაბით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე წარდგენილი იყო **12,902** კანდიდატი, აქედან **8,147** (**63.15%**) კაცი, ხოლო **4,755** (**36.85%**) ქალი. თბილისში პროპორციული საარჩევნო სისტემით **927** წარდგენილი კანდიდატიდან **428** (**46.17%**) იყო ქალი კანდიდატი.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე **247** კანდიდატი იყო წარდგენილი, აქედან - **174 კაცი** (**70.45%**), ხოლო - **73 ქალი** (**29.51%**). კანდიდატებიდან უმრავლესობა **172 კაცი** (**70.49%**) და **72 ქალი** (**29.51%**) პოლიტიკურმა პარტიებმა წარადგინეს, ხოლო საინიციატივო ჯგუფებმა - სამი კანდიდატი, აქედან **2 კაცი** (**66.67%**) და **1 ქალი** (**33.33%**).


2017 წლის არჩევნების შედეგად საკრებულოების შემადგენლობაში არჩეულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი **13.5%-ს** შეადგენს. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში **2058** საკრებულოს წევრიდან მხოლოდ **277-ია** ქალი.

ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში




ქალებმა მაჟორიტარული მანდატების 7.8% პროცენტი მოიპოვეს, კერძოდ, 1088 დეპუტატიდან მხოლოდ 85-ია ქალი. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ქალებს მანდატების 19.8% ერგოთ, პროპორციული წესით არჩეული 970 დეპუტატიდან 192 ქალია.

ქალთა წარმომადგენლობა მაჟორიტარული სისტემით



ქალთა წარმომადგენლობა პროპორციული სისტემით



21 მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალებმა მაჟორიტარული მანდატი საერთოდ ვერ მოიპოვეს. აღნიშნული მუნიციპალიტეტებია: გურჯაანი, ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, მცხეთა-მთიანეთი, ყაზბეგი, აბაშა, ჩხოროწყუ, ფოთი, ქედა, შუახევი, ხულო, ადიგენი, ასპინძა, ნინოწმინდა, ვანი, მესტია, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, დმანისი.

მარნეულის საკრებულოში ქალები საერთოდ არ არიან წარმოდგენილი.


2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 64 პირდაპირი წესით არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი.

2010 წლის (11,1%) და 2014 წლის (11,6%²⁸) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებთან შედარებით 2017 წლის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა რაოდენობა მხოლოდ მცირედით არის გაზრდილი.

28 იხ. „სამართლიანი არჩევნების“ კვლევა: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული მონიტორინგი და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის გაძლიერება <http://www.isfed.ge/main/769/geo/>


საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგი მუნიციპალიტეტების საკრებულოებში: ხარაგაული (28.6%), წალენჯიხა (26.7%), ხონი (25.0%), სენაკი (24.2%), ცაგერი (22.6%), ონი (21.2%), დუშეთი (20.6%), ამბროლაური (20.6%), ქუთაისი (20.0%), თბილისი (20.0%), ხაშური (19.4%).

11 საკრებულო ქალთა ყველაზე მაღალი წარმომადგენლობით




ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე (10%-ზე ნაკლები) დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგი მუნიციპალიტეტების საკრებულოებში: ნინოწმინდა (7.7%), დედოფლისწყარო (7.1%), მესტია (6.5%), წალკა (4.4%), გარდაბანი (5.6%), წალკა (4.4%), ქედა (4.2%), ხულო (3.6%), აბაშა (3.1%).

10 საკრებულო ქალთა ყველაზე დაბალი წარმომადგენლობით და საკრებულო ქალების გარეშე




პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით, ქალების წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გურიის (26.7%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა (25.0%) შიდა ქართლის (21.7%), იმერეთის (20.0%), სამეგრელო-ზემო სვანეთის (20.0%), სამცხე-ჯავახეთისა (20.0%) და კახეთის (20.0%) რეგიონებში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი აჭარაში (15.6%).

პროპორციული სისტემით ქალთა წარმომადგენლობა რეგიონულ ფრილში



მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში (24.0%) დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (16.4%), გურიის (11.3%) და იმერეთის (10.6%) რეგიონებში. საგანგაშოდ დაბალია მაჟორიტარი ქალების რაოდენობა ქვემო ქართლის (2.3%), აჭარის (4.1%), კახეთისა (5.1%) და სამცხე-ჯავახეთის (5.4%) რეგიონებში.

მაჟორიტარული სისტემით ქალთა წარმომადგენლობა რეგიონულ ფრილში



ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა გულისხმობს უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ე.წ. ქალთა „კრიტიკული მასის“ არსებობას. 1995 წლის პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, ასევე გაეროს კომიტეტის რეკომენდაცია გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს პარლამენტში 30-დან 35%-მდე ქალთა წარმომადგენლობის არსებობას.

ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია ეფექტური საკანონმდებლო ზომების გატარება მოხდეს. გენდერული კვოტირება, სწორედ საკანონმდებლო, დროებით ზომას წარმოადგენს ქალთა და კაცთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ *სავალდებულო* და *ნებაყოფლობითი* ხასიათის კვოტებს. პირველი მოდელის შემთხვევაში კონსტიტუციით ან საარჩევნო კანონმდებლობით ხდება კვოტების დადგენა და მისი შესრულება სავალდებულოა საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მეორე შემთხვევაში მათი დაცვა პარტიების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. სავალდებულო გენდერული კვოტირების შემთხვევაში შესაძლებელია ქალებისთვის გამოიყოს ადგილები. მაგალითად, კონსტიტუციით განისაზღვროს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქალი წარმომადგენლების კონკრეტული რაოდენობა, ან პოლიტიკურ პარტიებს დაეკისროთ განსაზღვრული ოდენობის ქალი კანდიდატების წარმოდგენა ე.წ. **რანგირების პრინციპის** გათვალისწინებით. აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქალები საარჩევნო სიის ბოლოს არ იყვნენ შეყვანილი.²⁹

2017 წლის 12 ივნისს, საქართველოს პარლამენტში, **37,455** ამომრჩევლის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა, სწორედ საკანონმდებლო, დროებითი ზომების მიღებას ითვალისწინებს. ინიციატივის თანახმად, საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებზე პოლიტიკურ პარტიებს დაეკისრებათ ვალდებულება პროპორციული საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით დააკომპლექტონ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. არსებული ინიციატივა ითვალისწინებს 50%-იანი სქესთა ბალანსის დაცვას კანონპროექტის მიხედვით, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ასევე თვითმმართველობის ორგანოებში არჩეული წევრებისთვის სადეპუტატო მანდატის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს დაიკავებს სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის წარმომადგენელი.

ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით აუცილებელია გენდერული კვოტირების სისტემის დანერგვა. აღნიშნული უნდა განვიხილოთ, როგორც გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის ამოქმედების აუცილებლობა მხოლოდ ქალთა დაბალი წარმომადგენლობის შემთხვევაში ჩნდება. კვოტირება უნდა გავიაზროთ, როგორც ქალთა პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის საშუალება, რაც უზრუნველყოფს ქალთა წარმომადგენლობის ზრდას არჩევით ორგანოებში, რისი საჭიროებაც არსებობს საქართველოში.


29 იხ. „სამართლიანი არჩევნების“ კვლევა: <http://www.isfed.ge/main/769/geo/>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ქმედითი ღონისძიებების მიღების ვალდებულება ეკისრება, დღემდე არ განხორციელებულა სისტემური ცვლილებები, რაც რეალურად ხელს შეუწყობდა ქალთა რაოდენობის გაზრდას წარმომადგენლობით ორგანოებში. 2011 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ამოქმედებული ფინანსური წამახალისებელი ზომა ნებაყოფლობითი ხასიათისაა და როგორც არერთმა საპარლამენტო და ადგილობრივმა არჩევნებმა გამოავლინა აღნიშნული ნორმის დაცვა საარჩევნო სუბიექტების მიერ არ ხდება. 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებიდან, მხოლოდ 9 საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა გასხვავებული სქესი პარტიულ სიაში, აქედან საბაზისო დაფინანსებაზე დანამატი მხოლოდ 4-მა საარჩევნო სუბიექტმა მიიღო.

ასევე, როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, საქართველოში მოქმედი ე.წ. შერეული საარჩევნო სისტემა არ უწყობს ხელს ქალთა წარმომადგენლობას. საკანონმდებლო და თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში პროპორციული საარჩევნო სისტემით უფრო მეტი ქალია არჩეული, ვიდრე მაჟორიტარული სისტემით, რაც ქალთა წარმომადგენლობისთვის ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს. ამ მხრივ 2017 წელს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც ქვეყანა საპარლამენტო არჩევნებისთვის პროპორციულ სისტემაზე გადავა, ნამდვილად დადებით ფაქტს წარმოადგენს. თუმცა, ის რომ ცვლილების ამოქმედება მხოლოდ 2024 წლისთვის მოხდება, დროში აჭიანურებს იმ დადებით შედეგებს, რაც ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის კუთხით შეიძლება მოიტანოს აღნიშნულმა ცვლილებამ.

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღოს სავალდებულო გენდერული კვოტირება, როგორც დროებითი ზომა ქალთა წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად. ნაკლებად ქმედითია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული მექანიზმებიც. გენდერული თანასწორობის საბჭოს არსებული ინსტიტუციური მოწყობა და უფლებამოსილებები ვერ ქმნის ეფექტურ გარანტიებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. არსებული დებულების ანალიზიდან გამომდინარე საბჭოს არ აქვს დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ვალდებულება. კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული, რა ზომები უნდა გატარდეს საბჭოს ქმედითობის გასაზრდელად, თუ მისი წევრები არ ან ვერ ასრულებენ დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს. ადგილობრივი დონეზე შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოებს მოქმედი დებულება და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკისრებს ვალდებულებას გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მიაწოდონ საკრებულოს ან საქართველოს პარლამენტთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რაც ამცირებს მათი ანგარიშგაღებულების ხარისხს.

ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში



■ ქალი ■ კაცი



ISFED

INTERNATIONAL SOCIETY FOR
FAIR ELECTIONS AND DEMOCRACY